1959

ნახ. ე. ბერძენიშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანგებრ მივლინება წელიწადის ყველაზე ტკბილ დროს

№ 19 თბილისი ოქტომბერი 1959

ბარბარე

გამოცემის XXXVII წელი. ფასი 2 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხილსამტვრევი № 02

მეგობრული შარჟი ი. ქოქიაშვილისა

ამ დღეებში ქ. გურჯაანში მოეწყო სიმინდის რაიონული გამოფენა. გამოფენის საპატიო სტუმართა შორის იყო პოეტი ირაკლი აბაშიძე, რომელზედაც განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ბაკურციხელ კოლმეურნეთა მიერ მოყვანილი სიმინდის ცოცხალმა ექსპონატებმა.

ეს რა სიმინდი ჰქონიათ,
ჯერის მოყვარულ კახელებს,
მათი ჯარო და სიმაღლე
აოცებს მოსულ მნახველებს.

ამ ცოტა ხნის წინათ ტექნიკურ სამყაროს შეემატა კიდევ ერთი მანქანა—«თხილ-სამტვრევი» № 02, რომელიც აადვილებს ადამიანის შრომას. კერძოდ, ერთი ადამიანის მიერ კუსტარული წესით თხილის მტვრევა შეიძლება შესცვალოს სამმა-ოთხმა მანქანამ. აქვე ვაქვეყნებთ ამ მანქანის მოწყობილობას და მისი ხმარების წესებს.

აღწერილობა

1. მანქანის ზედა ნაწილი წარმოადგენს სამოცდაათი სანტიმეტრი სიმაღლის, სამოცდაათი სანტიმეტრი სიგანისა და ნახევარი მეტრი სიფართის რკინის მასას, ზედა ნაწილს ეწოდება «ზედა ყბა». (სურ. 1).



2, «ზედა ყბას» აქვს სპეციალური ამწეები, რომელსაც ეწოდება «ამწე-დამწე», რის საშუალებითაც «ზედა ყბა» ძლიერად ეცემა «ქვედა ყბას».

3. «ქვედა ყბა» წარმოადგენს ერთი მეტრის სიმაღლის, ნახევარი მეტრი სიგანის და ოცდაათი სანტიმეტრი სიფართის რკინის მასას, რომლის შუაგულში არის სპეციალური ღრუ, სადაც თავსდება თხილი დასამუშავებლად.

4. მანქანის უკანა ნაწილში მოთავსებულია ავტომატი, რის საშუალებითაც მანქანა მოდის მოძრაობაში.

ხმარების წესი

1. უნდა აიღოთ თხილი და დააგროვოთ მანქანის მარჯვენა მხარეს.

2. დააჭიროთ ღილაკს(1), რომელიც «ზედა ყბას» აწევს ზევით, რის შემდეგ სწრაფად და ფრთხილად უნდა ჩასდოთ თხილი ღრუში (სწრაფად და ფრთხილად იმიტომ, რომ მოსალოდნელია ჩამოვარდეს „ზედა ყბა» და გამოიწვიოს უბედური შემთხვევა).

3. შემდეგ კვლავ დააჭიროთ ღილაკს თითი, «ზედა ყბა» დაეცემა «ქვედა ყბას» და თხილს დაამტვრევს.

4. ამის შემდეგ განმეორდეს იგივე მოძრაობა, როგორც მეორე პუნქტშია აღნიშნული, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მანქანიდან წინასწარ გამოღებული იქნას გატეხილი თხილი.

ვინაიდან მანქანა ახალია და ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი აქვს, ამიტომ ხშირად წყვეტს მუშაობას, მაგრამ ამ ახალი მანქანის დადებითი მხარე სწორედ ისაა, რომ, მაშინაც კი, როდესაც მანქანა არ მუშაობს, მაინც იქნას გამოყენებული ამ სამუშაოს შესასრულებლად.

«თხილსამტვრევი» № 02 -ის გამოყენება მისი გაჩერების შემდეგ:

1. აიღეთ თხილი და დაყარეთ მანქანის «ზედა ყბის» ზედა ნაწილზე (სურ. 2; C).

2. აიღეთ ხელში ქვა ან სხვა რომელიმე მყარი საგანი და აწიეთ ზევით. ისე, რომ მკლავი იდაყვთან ოდნავ მოხაროთ.

3. ამის შემდეგ დაუშვით პირდაპირ თხილს ისეთი ძალით, რომ თხილის გული არ გაფუჭდეს. (სხვათა შორის ამ ზომიერების დაცვას ჯერ კიდევ ვერ ახერხებს მანქანა და თხილის 90%-ს აფუჭებს).

4. თუ ვინიცობაა არ აღმოგაჩნდათ ოჯახში ქვა ან სხვა მყარი საგანი. იმოქმედეთ შემდეგნაირად:

1. დაცილდით მანქანას ერთი ორი ნაბიჯით და დაიყარეთ წინ თხილი.

2. ჩამოსწიეთ საკუთარი ქვედა ყბა და ჩაიგდეთ თხილი ჯანსაღ კბილებს შორის (იხ. სურ, 3).

3. ამის შემდეგ აწიეთ ქვედა ყბა და გატეხეთ თხილი. (აღსანიშნავია, რომ ასეთი წესით თხილის დამტვრევა მოითხოვს ცოტა დროსა და გაცილებით იაფი ჯდება).

ამხანაგებო. ისარგებლეთ ახალი «თხილსამტვრევი № 02 მანქანით!

კონსტრუქტორი **კერკეტაძე**

უცნობის უბის წიგნაკიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიროვნების ვინაობისა და პროფესიის დადგენის ყველაზე მარტივი და უტყუარი საშუალება მისი პირადობის მოწმობა ან პასპორტია. მაგრამ ცხოვრებაში არის შემთხვევა, როცა პიროვნებას არც ერთი გააჩნია. არც მეორე. ასეთ შემთხვევაში არსებობს კიდევ ერთი საშუალება. კერძოდ, პიროვნების უბის წიგნაკი. ეს შედარებით რთული გზაა. მაგრამ უბის წიგნაკში შეტანილი სამახსოვრო ჩანაწერების მიხედვით გონიერ მკვლევარს შეუძლია დაადგინოს ამა თუ იმ პიროვნების ვინაობა ან პროფესია!

მე მრავალგზის გამიკეთებია ასე. მაგრამ დღეს ნაპოვნმა უბის წიგნაკმა სულ ამირია გზა-კვალი და მისი პატრონი, როგორც დიდი შავი კითხვის ნიშანი, დაჯდა ჩემი საწერი მაგიდის მოპირდაპირე მხარეს.

ვაქვეყნებ უცნობის უბის წიგნაკს იმ იმედით, რომ იქნებ მკითხველმა მაინც მიპასუხოს ამ რთულ კითხვაზე—ვინ არის ეს კაცი?

„... მზე ისე ნელ-ნელა ჩადიოდა, გეგონებოდა ამოდისო".

(შედარება რომანისათვის)

„... მიმიფურთხებია მე ისეთი ჯარისკაცებისათვის, გენერალზე რომ არ უჭირავთ თვალი".

(ნაპოლეონი, დიმიტრი თამადის სადღეგრძელოდან!).

შველისყურა—„რასაცა გასცემ შენია, რაც არა, დაკარგულია".

(ფლირტიდან. გამოვიყენებ).

ერთი კილო პამიდორი 3 მან.
ატამი ერთი კილო და ერთი ცალი 6 მან.
პერიცა, პეტრუშკა 50 კაპ.

სულ 9 მანეთი და 50 კაპ.

— ოჰო?!! გაუკვირდა ლილის.

— ჰმ! ჩაიცინა თენგიზმა ირონიულად.

(გამოვიყენებ ახალ პიესაში ლილისა და თენგიზის დიალოგისათვის).

— ეს ზღარბი წაბლს არ ჰგავს? (იქვე. შედარება.)

სამტრედიიდან ავტობუსი კულაშში გადის 11 საათზე. პაკრიშკა 1000 მანეთი 3—34 66. არ დამავიწყდეს ჰონორარზე დარეკვა.

9/IV-59 წ. არ დამავიწყდეს გაზეთისათვის ლექსის დაწერა.

რითმები	აისი	გუგუნი
	მაისი	უკუნი
	ალამი	ხუხულა
	სალამი	გადიგრუხუნა

პადმიოტკა-ნაბოიკა შვიდი თუმანი (70 მან.).

აბანო—1 მ.80 კაპ.
პროსტინა 3 მან.
მექისე 5 მან.

სულ 79 მანეთი და 80 კაპ.

„... როდესაც ღმერთი სამოსახლო მიწებს არიგებდა, მაშინ ქართველები ქეიფობდნენ. რომ მივიდნენ, ღმერთს მიწები უკვე განაწილებული ჰქონდა, ქართველებმა მაღარიჩი იკისრეს. მაშინ ღმერთმა უთხრა ანგელოსს—წადი, ჩემი მიწა მიუზომე, ყველაზე კარგი ადგილიო. და აი ეს ჩვენი მიწა, ახლა რომ ვზივართ და პურსა ვჭამთ, ღმერთის მოცემულია. მაშ გაუმარჯოს ჩვენს პატარა, მაგრამ ლამაზს, კოხტას, ყველასათვის...

(საქართველოს სადღეგრძელო).

ექსპრომტი: ისეთმა ფურმა დამწიხლოს,
რომ იწველიდეს ჩემზე მეტს.
ისე დაგათრობ, თამადავ,
რომ მე დაგასხამ თავზე
რეტს.

(ნაზიკოს დაბადების დღეზე რომ ვთქვი).

წყლის ქირა—3 მან.
სინათლის ფული—50 კაპ.
ჯარიმა ეულიკისათვის—100 მან.

სულ 103 მანეთი და 50 კაპ.

„კაცი კაცისთვის მგელია".
„ჭეშმარიტი სიყვარული არ არსებობს".
„ცოლქმრობა დაუსრულებელი კომედიაა".

(ჩემია).

რაფინირებული (ვარ, ან არის).

ლირიულია ესთეტიკა ინტელექტი უტერპრეტაცია	საზოგადოებაში სახმარი უცხო სიტყვები

რაფინატ—შაქარი იკანიე—სლოკინი		რუსულ-ქართული ლექსიკონიდან

მაჯამა	საზამთრო—ბუ, ხარი
	საზამთრო—ბუხარი
	არ წივი—ხარ ხარი
	არწივი—ხარხარი

აქ მთავრდება ამ საინტერესო პიროვნების უბის წიგნაკი მისი სიმცირის გამო. ვინ იცის, ალბათ ახლა მას ახალი წიგნაკი უდევს მუხლზე და გამალებით იწერს შიგ ახალ-ახალ შთაბეჭდილებებსა და ჩანაწერებს. ნეტავი მაცოდინა, ვინ არის იგი და რითი სუნთქავს ახლა, ამ წუთში.

ჯვეგე დუმბავა

ჟურნალისტის ოჯახში

ნახ. ზ. წერეთლისა



— მზია, გამოდი აქეთ, ხელი არ შეუშალო მამიკოს მუშაობაში, ხომ ხედავ ნარკვევის სიუჟეტზე ფიქრობს!

— დედიკო, წამოწოლას ქვია მუშაობა?!

კინოსიყვარული

კინო ალბრიის უდიდესი საშუალებაა. მაგრამ ამ ქვეყანაზე ყველაფერს ახასიათებს უკიდურესობა. ასევე კინოსაყურებლების ერთი ნაწილი ზედმეტად ქმედი კინოს გიჟლების ქმედ და სულერთ ფილმში მოთხრობილი ყველა ამბისა, ამ სიტყვების პირდაპირი გაგებით.

მაგალითად, ერთხელ ვერაფერი ვერ დავარწმუნე დედაჩემი, რომ მსახიობი, რომელმაც სცენაზე ზეპირებრივი სიყვარულისათვის თავი მოიკლა, კულისებიდან პირდაპირ ბაზარში ეკიტა კარტოფილის საყიდლად.

ამასთან დაკავშირებით მინდა მოგითხრათ ერთი ამბავი, რომელიც პირადად მე შემეთხვა.

წარსულ შემოდგომაზე, მაშინ, როდესაც ვაყვითლებენ ფოთლები ძირს ცვიოდნენ, შემოყვარდა ერთი ქალიშვილი, რომელსაც სახელად ერქვა ნათელა. გაყინობის პირველსავე დღეს ქალიშვილს ჩემი მოსდამი სიმპათია გაეფეთქნეს.

—ოქეენ. ალბათ. ამ გაზაფხულზე გაგიჩენ მაგხეი, არა?—ჭკოსა მან ღიმილით.

ვერ მუმეცი. საიდან დაასკვნა ეს ქალიშვილმა, მით უმეტეს, რომ გაზაფხულზე გაგიჩენ არ ვყოფილვარ. მაგრამ, როცა შემდეგში გავიგე მისი ფანატიკური სიყვარული კინოხელოვნებისადმი, ამ უცნაური კითხვის მიზეზი ჩემთვის ნათელი გახდა: კინოსცენარის მიხედვით სიყვარული ყოველთვის იწყება გაზაფხულზე. როდესაც ისაუბნები ჰყავიან.

რასაკვირველია, მე არ შევარყიე ქალიშვილის რწმენა და შევთანხმდი ჩვენი სიყვარულის კინოსიუჟეტურ განვითარებას. უპირველეს ყოვლისა, ავედით ფუნიკულერზე და მალლიდან გადმოვეხედეთ ჰალარა თბილისს. რათა სიმშოლერად გაგვეშართლებინა დიდი შოთას სიტყვები «სიყვარული ადამალლებს».

მერე ვისეირნეთ კარუსელთან, ვისროლეთ ტირში, სადაც კინოფილმების მიხედვით უნდა მოგვეგო დიდი თოჯინა, მაგრამ—ვერ მოგვართვეს! სიყვარულით გაბრუებულმა, როცა ბაზარნებში ყვავილებს დაუწყეს კრეფა, მილიციელი ვერ გაერკვა კინოსტატიკაში და ჯარიმის ქვითარი გამოიწერა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ნათელამ უფიქრობა შეიჩინა.

—რა იყო, შენმა პიროტექნიკმა დირექტორმა არ მითხრა რაციონალიზატორული წინადადება?—ეკითხეთ. სანამ პარტორგანიზაციის მდივანი შეეხლეთ ბოდან დაბრუნდება.

მე გავიცინ ნათელას კითხვაზე. რადგან არც პარტორგანიზაციის მდივანი იყო შეეხლეთ ბაში. არც ძე ეფიფანიერ რაციონალიზატორული წინადადების ავტორი ფ. საერთოდ. უხასიათოდ სულ სხვა რამის ეაში ვიყავი. მაგრამ არ მინდოდა ჩვენს კინოსიყვარულში დისონანსი შემეტანა. და ნათელას დავეთანხმე.

ჩვენი სიყვარული თითქოს მშვიდობიანად ვითარდებოდა, მაგრამ მალე მომწყინდა კინოფილიტი «ბეიანობის ნიადაგზე».

ამის თაობაზე ერთხელ ქუჩაში საკმაოდ მაგარი ჩხუბი მოგვიფიდა.

—ბაშ. მატყუებდი. ვაკბატონო. არა?!

—ნათელა, დაწყნარდი. სისულელეებს ნუ ლაპარაკობ.

—ერთ დროს მიმტკიცებდი. შენზე ტკბილი ლაპარაკი არავინ იცისო, ახლა სისულელეებს ლაპარაკობ, ხა?!—გაეცინეთ ნათელა და ეელის სისწრაფით ქოლგა გაშალა.

ეიმ წამსვე მიეხედი. რომ ამ დროს კინოფილმის მიხედვით წვიმა უნდა წამოსულიყო და ალაშრის საყელო წამოეფინე. მაგრამ ამინდი ამჯერად არ დაემორჩილა კინოხელოვნებას.

რაც დრო გადიოდა, ჩვენი ურთიერთობა უფრო მწვავდებოდა. ხოლო ერთ მშვენერ დღეს ნათელამ წამომიყენა ულტიმატუმი ურთიერთობის საბოლოოდ გაწყვეტის შესახებ.

მე ამ დროს კინოსცენარის მიხედვით ხელიდან თეფში ან გრაფინი უნდა გამეგორებინა. მაგრამ. საბედნიეროდ, ხელში არც ერთი მეჭირა და არც მეგორე.

ჩვენ ერთიანეულს საბოლოოდ დავშორდით გაზაფხულზე, როცა ისამნები ბალკონებზე და პატარა ბიჭები ლერწიებს სთავაზობდნენ რესთა

ცილისმწამებლები ჭირის უფალნი

ვინ მოთვლის რამდენი განცხადება და წერილი დაუწერია ვასილ ალექსანდრეს-ძე ლომსაძეს თავისი «მოღვაწეობის» მანძილზე. უმაღლესი იურიდიული განათლების მიღების შემდეგ, ის გორს მოევლინა. აქ დაიწყო პირველად მისი, როგორც იურისტის, კარიერა და აქვე დამთავრდა კიდეც. ერთ დროს ლომსაძე გორის რაიონის პროკურორის მოადგილედაც მუშაობდა, მაგრამ 1948 წელს მოხსნეს და შემდეგში საბჭოთა კანონიერების ამ დამცველს, ბრალდებულის არასახარბიელო როლის შესრულებაც მოუხდა სასამართლოში.

მალე ლომსაძემ საფინანსო საკითხებით დაინტერესება გამოიჩინა და ფინანსთა სამინისტროს რევიზორ-კონტროლიორად მოევლინა გორს. 1954 წლის დეკემბერში ის განთავისუფლებული იქნა ამ სამუშაოდან, მაგრამ, ალბათ იმის გამო, რომ ფინანსთა სამინისტროს მუშაკებმა თბილისში ვერსად აღმოაჩინეს ლომსაძისთანა ფინანსისტი, ისევ ვასილ ალექსანდრეს-ძე მოიწვიეს გორიდან და, როგორც წესი, გადმოსაყვანი თანხაც მისცეს. ამასთან ერთად, იმის გამო, რომ «ამ შეუცვლელ სპეციალისტს» ორი სახლის მეტი არ აღმოაჩნდა გორში, სამინისტრომ დახმარება აღმოუჩინა და ერთი ოთახი თბილისშიც მისცა.

ვასილ ლომსაძემ მუშაობა დაიწყო სამინისტროში მრავლისმეტყველი ტიტულით—საკონტროლო-სარევიზიო სამმართველოს კონტროლიორ-რევიზორი. გორის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მუშაკებმა, როგორც ჩანს, სათანადო პატივისცემა ვერ გამოიჩინეს ამ რესპუბლიკური მასშტაბის მუშაკისადმი და მეფის ტოლა კაცს იმაზე შეედავენ, ახალი სახლის მშენებლობის დროს დამტკიცებული პროექტი უხეშად რატომ დაარღვიეო. შემდეგ კი მოინდომეს მისთვისაც ჩვეულებრივ მოკვდავთა მსგავსად მიეზომათ სამოსახლო მიწა.

აქედან დაიწყო ვასილ ალექსანდროვიჩის განრისხება.

— მე თქვენ გასწავლით, როგორ უნდა ღვაწლმოსილი მუშაკის დაფასებაო,—თქვა ლომსაძემ და შეუდგა ცილისმწამებლური წერილების წერას. წერა და წერა განცხადებები ზემდგომ ორგანოებში.

ერთი წუთითაც არ გაუგდია ხელიდან თავისი საბრძოლო იარაღი—ავტოკალმისტარი. ამასთან ერთად, ის დაუკავშირდა სხვა განაწყენებულ პირებს—ვ. ფანჩვიძეს, რ. მიქელაძეს და გ. ჩუტკერაშვილს. ვარდენ ფანჩვიძე, როგორც სუსტი მუშაკი, გასული წლის იანვარში გაათავისუფლეს გორის საქალაქო საბჭოს სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების გამგის თანამდებობიდან და ახლა ცდილობს შური იძიოს მისი, როგორც საუკეთესო მუშაკის შეუფასებლობისათვის.

კვარტეტმა სასწრაფოდ დაიწყო მუშაობა, არა მუსიკალური ნაწარმოების შესასწავლად, არამედ ცილისმწამებლური მასალების შესაგროვებლად. ცოცხლებთან რომ ვერაფერი მონახეს, მიცვალებულებს მიაკითხეს საიქიოში. ყურადღება შეაჩერეს 1902 წელს გარდაცვლილ ექიმ სააკოვზე. არამკითხე ჭირისუფლები, რომლებსაც თავიანთი წინაპრების საფლავი არ მოუძებნიათ, დიდი გულმოდგინებით შეუდგნენ სააკოვის საფლავის ქვის ძებნას.

გასული წლის 14 სექტემბერს სისხამ დილით გორიდან გავიდა გ. ჩუტკერაშვილის კერძო ავტომანქანა, რომელშიც ისხდნენ სასწრაფოდ შედგენილი «არქეოლოგიური ექსპედიციის» სხვა წევრებიც—ლომსაძე, ფანჩვიძე, მიქელაძე. მანქანამ 80 კილომეტრზე მეტი მანძილი გაიარა და გაჩერდა ბორჯომის რაიონის სოფელ დაბაში. «ექსპედიციის» წევრებმა სასაფლაოს მიაშურეს და ფრიად საიდუმლოდ (როგორც თვითონ წერენ): შეუდგნენ მის დათვალიერებას.

რამ აიძულა ექსპედიციის წევრები სააკოვის საფლავის ქვა მაიც და მაინც გორიდან 80 კილომეტრის დაშორებით სოფელ დაბის სასაფლაოზე ეძებნათ? ამაზე მათ მიერ შედგენილი აქტი გვაძლევს პასუხს (სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ აქტი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ გრამატიკულ შეცდომას, მეტად გამართულად არის დაწერილი, რაც ლომსაძის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს).

აქტის შესავალ ნაწილში ლაპარაკია იმ ჰუმანიზმსა და საკაცობრიო იდეალებზე, რომლებმაც აიძულა ექსპედიციის წევრები, არაფრად ჩაეთვალათ თავიანთი შრომა და დრო სიმართლის დასადგენად. ამ ისტორიული დოკუმენტის მეორე ნაწილში აღწერილია გორის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ერთ-ერთი პასუხისმგებელი მუშაკის სიდედრის საფლავი და იქვე არაორაზროვნად არის ნათქვამი, რომ მის მახლობლად 9—10 მეტრის დაშორებით დევს სააკოვის საფლავის ქვა. დასკვნა ნათელია. თუ ქვამ გორიდან 80 კილომეტრი გამოიარა, 9—10 მეტრსაც ადვილად გაივლის და იმ პასუხისმგებელი მუშაკის სიდედრის საფლავზე ადვილად აღმოჩნდებაო.

აღსანიშნავია, რომ აქტის ავტორებს მოცემული აქვთ მათ მიერ «აღმოჩენილი» საფლავის ქვის დაწვრილებითი აღწერა. აქტში ვკითხულობთ: «საერთო სიგრძე უდრის 1 მეტრსა და 35 სანტიმეტრს, ხოლო მისი ფუძის სიგრძე-სიგანე შესაბამისად არის 45—55 სანტიმეტრი, ძეგლის თავი კი 30 სანტიმეტრი (იხილეთ თანდართული სქემა)». მართლაც, თან ერთვის ამ საშვილიშვილო დოკუმენტს ქვის სქემაც.

ცილისმწამებლები სრულიადაც არ დაინტერესებულან სიმართლის გამორკვევით, თორემ საკმარისი იყო სოფელ დაბის მცხოვრებლებისათვის ეკითხათ და ისინი ეტყოდნენ, რომ მათ მიერ «აღმოჩენილი» ძეგლი ნიკოლოზ მურჯიკნელის მიერ 1938 წელს დის საფლავზე დადებული ქვაა და სხვა არაფერი.

მაგრამ მათ ხომ სიმართლე არ ესაჭიროებოდათ და არქეოლოგიური «გამორკვევის» დამთავრებისთანავე ზემდგომ ორგანოებში აფრინეს განცხადება საგანგებოდ შედგენილ აქტთან ერთად.

რამდენი მუშაკის სამუშაო დრო დასჭირდა ამ უსირცხვილოდ შედგენილი ცილისწამების გამორკვევას.

საჭირო გახდა ერთი არქეოლოგიური გათხრა გორშიც ჩაეტარებინათ დარჯანიას სახლის საძირკვლის შესამოწმებლად. გათხრა დაიწყეს თუ არა, მალე გამოჩნდა შავი მარმარილო წარწერით: „Доктор Иосиф Георгиевич Сааков родился 11 апреля 1825 года, скончался 3 сентября 1902 года.

ამ წარწერის დანახვით შუბლზე ჭირის ოფლი გადაასკდა არამკითხე ჭირისუფალს, იქ დამსწრე ვ. ფანჩვიძეს და ღრმად დამწუხრებულმა დაბლა დახარა თავი სააკოვის საფლავის ქვის წინაშე.

ზემდგომმა ორგანოებმა გაარჩიეს თავგასულ ცილისმწამებელთა საქმე და სათანადოდ დასაჯეს ისინი. თუმცა ამბობენ, ზოგიერთი მათგანი ჯერ კიდევ არ ყრის იარაღს და გაიძახის:

— თუ საფლავის ქვიდან არაფერი გამოგვივიდა, ახლა ისეთ განცხადებას დავწერთ, რომ ქვას ქვაზე არ დავტოვებთო!

ერთი რამ ცხადია. ცილისმწამებლებს უკვე ჩამოგლიჯეს ნიღაბი და ახლა ტყუილად ფიქრობენ თავის მოტყუებას, რომ ვინმე მოატყუონ.

ნ. ნუკრიძე

ნახ. **დონისა**

— წნევა მაქვსო იძახი და სარდაფებში კი დაძვრები!

— ექიმებმა მირჩიეს დაბალი ადგილის ჰაერი მოგიხდებაო!

Szpilki
ეროვნული ბიბლიოთეკა

ანა ლეხიცკა

მზრუნველი ცოლი

მალინოვსკაია ქმრის ხასიათის სუსტ მხარეებს დარაჯობს. ქმარი არ სვამს, არ ჭამს, მალინოვსკაია კი კბილებს ახრჭიალებს... დარაჯობს.

— ერთ ჭიქა ღვინოსაც კი ვერ იტანს.—ამბობს მალინოვსკაია.— მეორე ჭიქაზე ბონიფასს ბგერები ერთმანეთში ერევა. მესამეზე ლუღლუღებს, მეხუთეზე ბოდავს, მესამე და მეხუთეს შორის კი განსაკუთრებით უნდა ვადევნო თვალი.

საზოგადოებაში მალინოვსკაია არასოდეს არ იცინის.

— ხუმრობის, მით უმეტეს, სიცილის დრო სად მაქვს!—ამბობს იგი. —ბონიფასი მეტად ხმამაღლა იცინის პოლიტიკური ანეგდოტის მოსმენისას; ამ დროს ფეხი ფეხზე უნდა დავადგა. უყვარს ხარხარი, როცა ქარაგმულად ნასროლ ერეტიკულ სიტყვას ყურს მოკრავს; ასეთ დროს კი შეუმჩნევლად ვჩხვლეტ სპეციალურად საამისოდ მომზადებული ქინძისთავით. უყვარს ძველებური ნაკვესების გახსენება; ასეთ შემთხვევისას ვსიმულანტობ, ვითომ ასტმა მაქვს და ამით ვამუხრუჭებ მას. ეს მომქანცველია, მაგრამ რას იზამ! სახეგაცრეცილი მწირის მსგავსად მადლობის უთქმელად ჩრდილში ვიღწვი.

ვისთანაც არ უნდა მიიპატიჟონ, მალინოვსკაია არასოდეს არ ჭამს.

— ლუკმის აღება არ შემიძლია,—ამბობს იგი,—ბონიფისი წვნიანს ხვრეპავს, ბოსტნეულს თქლაფავს, დესერტს სვლეპავს. ასე ვადევნებ თვალს მის ყოველ ლუკმას. ღრმად და დაკვირვებით ჩავცქერი თვალებში, ფეხსაცმლის წვერს კოჭში წავკრავ ხოლმე, ზოგჯერ კოლოფს გავხსნი და თეფშზე ფერუმარილს დავუყრი. გარდა ამისა, კაბის ნოჭში ოსტატურად მაქვს დამალული სადგისი და მით მოულოდნელად მუხლზე ვჩხვლეტ.

— ქმარი,—ამბობს მალინოვსკაია,—არ წარმოადგენს მარტოდენ ლაგამმიშვებულ ვნებათა ქროლვას, ანუ ავხორცობით ავსებულ საწყაოს. იგი, აგრეთვე, არის საყვარელი ბავშვი, რომელსაც მზრუნველობა და ყოველ წუთს დაცვა ესაჭიროება. მე ვზრუნავ ჩემს ქმარზე. ყოველდღე ვუმზადებ საყვარელ საჭმელს და სასმელებს, მუდმივ თვალყურს ყოველ ზედმეტ ჟესტს წარბის ერთი შეხრით ვაკავებ.

... უცნაურად ეწყობა ცხოვრება.

მალინოვსკიმ კინაღამ ჩალის კონაზე დაწვა. მალინოვსკაია და მცდელობისათვის ხუთი წლით ჩასვეს. მალინოვსკაია პროცესზე ამტკიცებდა, რომ ეს მოხდა მისი მოულოდნელი დაბნეულობის გამო.

მან წარბის შეხრა ვერ მოასწრო.

— კოვალსკი, რა ჰქვია ამ პლანეტას?
— ჰულა ჰუპ, პატივცემულო მასწავლებელო.

შეცდომა

— ხომ არ იცით, ვინ არის ეს მახინჯი ქალი ნაცრისფერ პალტოში?

— ჩემი მეუღლეა.

— დიდ ბოდიშს ვიხდი, გამოუსწორებელი შეცდომა მომივიდა . . .

— ნუ სწუხდებით, ეს მე მომივიდა გამოუსწორებელი შეცდომა.

რთული სიტუაცია

— როგორ არ გრცხვენია, — ეუბნება კოვალსკი თავის მეგობარს, —შენს ცოლს ორი საყვარელი ჰყავს და ყურსაც არ იბერტყავ!

— რა ვქნა, ძმაო, ისინი სამნი არიან. მე—ერთი.

თარგმანი ს. რავიჩისა

იანუშ ოსენკა

იარაღის დამამზადებელ ფაბრიკანტს სრულიად ახალი და განსაცვიფრებელი ყუმბარის პროექტი მივუტანე.

— რამდენ კაცს კლავს თქვენი გამოგონება?— მკითხა ფაბრიკანტმა, როგორც საქმის მცოდნემ.

— ათ მილიონს.

იარაღის ფაბრიკანტმა კმაყოფილებით გაილოკა ტუჩები, მაგრამ თავშეკავება აირჩია და თქვა:

— ჰმ! ციფრს, მგონი, არა უშავს რა. მაგრამ, კარგი იქნება, თუ ცოტას კიდევ წაიმუშავებთ, ყმაწვილო კაცო.

ფაბრიკანტმა იცოდა, როგორ ემოქმედა ჩემს თავმოყვარეობაზე და მეც მალე მივართვი გაუმჯობესებული პროექტი.

— ჩემი ყუმბარა ახლა ნახევარ მილიარდ კაცს კლავს.—მოვახსენე მე.

ამ ცნობას ფაბრიკანტი კმაყოფილებით შეხვდა, მაგრამ აშკარად შექებას მაინც მოერიდა, რათა დაფნის გვირგვინი უცებ არ დამედგა თავზე.

— ეს მძიმე სამუშაოს დასაწყისია და ხალისი ნუ დაგეკარგებათ.—მითხრა მან.

ზარმაცი არასოდეს ვყოფილვარ. მალე ჩემს ყუმბარას ისეთი ძალა მიეცა, რომ ერთ მილიარდ კაცს ნამცეცა ფერფლად აქცევდა. ამჯერად ფაბრიკანტმა ღირსი გამხადა და ხელი ჩამომართვა.

— ესეც ასე... ეს უკვე რაღაცას ნიშნავს. თქვენ დიდი მომავალი გელით, ყმაწვილო!

წარმატებით თავბრუდახვეულმა მკლავები დავიკარწახე და საქმეს უფრო სერიოზულად მოვკიდე ხელი. რამდენიმე დღის შემდეგ ლოყებდაწითლებული და სუნთქვაშეკრული შევიჭერ იარაღთა მეფის კაბინეტში.

— მილიარდნახევარი!—შევძახე ტრიუმფალურად.

ფაბრიკანტი სიამოვნებისაგან აკრუტუნდა.

— აი, რას ნიშნავს დაუღალავად მიისწრაფვოდე იდეალისაკენ!—მეუბნებოდა იგი მამობრივი მზრუნველობით.—რაგინდ სრულყოფილიც იყოს საგანი, მის შემდგომ გაუმჯობესებას ადამიანის გონება მუდამ შესძლებს.

ამ სიტყვების გავლენის ქვეშ მყოფს, მუდმივი გაუმჯობესების არნახული სურვილი დამეუფლა. ორმილიარდიანი ყუმბარა ხომ მზად მქონდა, მაინც ხალისით ჩამოვირბინე კიბეები და დაუზარებლად დავუმატე კიდევ ნახევარი მილიარდი. რაღაც შინაგანი ხმა მამცნობდა, რომ იდეალს ვუახლოვდებოდი.

მთლად გაჭარხლებული ფაბრიკანტი ყელში მობჯენილ სიხარულს ვერ ფარავდა.

— ორნახევარი მილიარდი... ორნახევარი მილიარდი!..—იმეორებდა იგი და, ვერ იქნა და ვერ დაიოკა ამ შედეგით გამოწვეული სიხარული. კიდევ კარგა ხანი იხარა ასე. უცებ დაფიქრდა და მკითხა:

— კარგი და, რამდენი მილიარდი ადამიანი ცხოვრობს დედამიწაზე?

— ორნახევარი მილიარდი,

— მერე, ამ ციფრში მეც შევდივარ?

— მმმ... ასე ვთქვათ, მგონი, კი...—ვუპასუხე მე ოდნავ შეცბუნებულმა.

ერთ წუთს იგი თითქოს ძალას იკრეფდა, და უცებ საშინელი ხმით იღრიალა: თავში იხალე ასეთი ყუმბარა!—და კარს უკან გამომაპანღურა.

— ძნელია აამო ადამიანს!—ამ სიტყვებით ვინუგეშებდი თავს, როცა კიბეებზე დაგორებული ძირს მივფრინავდი.

ეს კიდევ არაფერი, მალე სასამართლოს წინაშეც წარსვდგები. რადგან ფაბრიკანტის მოკვლა განვიზრახე.

მოთხრობები თარგმნა კარმენ მლინეკმა

რედაქტორი—ნიკო შველიძე.

სარედაქციო კოლეგია: აკ. ბელიაშვილი, ნ. დუმბაძე, ს. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, მ. ქარჩავა, ო. ჭელიძე.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Ниангы“.
რედაქციის მისამართი: რუსთაველის გამზ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის—3-76-69, საერთო განყოფილების—3-10-49.

გამომც. № 19. ხელმოწ. დასაბ. 25/IX-1959 წ. ქაღ. ზომა 70×108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. 14.
ავტორებს ხელნაწერები არ უბრუნდებათ. შეკვ. № 1159. უე. 07107. ტირ. 40.000.

59-566

ნახ. ნ. მალაზონიასი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

566
59
9/X

— ხიმინდი ველარ დატიეს ბელლებში და სახლში მიაქვს ახლა ჩვენს ბრიგადირს!
— ჰო, ჩვენს ფერმის გამგეს შეპირებია, ჩემი ღომი და შენი სულგუნიო.